მემორანდუმი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სმართ ლოჯიქსა“ და სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 27 მაისი, 2014 წელი

წინამდებარე მემორანდუმის მხარეებს წარმოადგენენ ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ დირექტორი ეკატერინე მრულიშვილის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "სმართ ლოჯიქი" (შემდგომში სსიპ „სმართ ლოჯიქი") ს/კ 206350599, წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ სხირტლაძის სახით. მხარეები გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის“ IT მხარდაჭერის მომსახურების გაწევა და სერვისების მიწოდება.

2. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, სსიპ „სმართ ლოჯიქი“ უზრუნველყოფს სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის“ IT მხარდაჭერის მომსახურების გაწევას და სერვისების მიწოდებას უფასოდ.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 სსიპ „სმართ ლოჯიქი“ ვალდებულია სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს“ მიაწოდოს წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული IT მხარდაჭერის მომსახურება 4.1. პუნქტით განსაზღვრული ვადით.

3.2 ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, გადაწყდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით და წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადის შეწყვეტა შესაძლებელია:

- 4.2.1. მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
- 4.2.2. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე;
- 4.2.3. 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ.

5.ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ე.წ. ,,ფორს-მაჟორული" გარემოებების მოქმედებით, კერძოდ საომარი—სამხედრო მოქმედებებით, გაფიცვით, სტიქიური უბედურებით (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი), ბლოკადით, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით ან ქმედებებით და სხვა.

5.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი ,,ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომისა და მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

5.3. მხარეების მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

6. დავების გადაწყვეტა

6.1. მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

6.2. თუ მხარეები ურთიერთმოლაპარაკებით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, თითოეული მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ სადაო საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს და სასამართლო განხილვის წესით მოახდინოს სადაო საკითხის გადაწყვეტა.

7.გარდამავალი დებულებები.

7.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. თითოეულ მხარეს მიეცემა მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

7.2. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ „სმართ ლოჯიქი“	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“
ს/კ 206350599	ს/კ 204423230, ტელ: 2 38 22 59
ტელ. 2405 818	
ქ. თბილისი, გორგასლის №24ა	ქ. თბილისი, გორგასლის №24
დირექტორი	დირექტორი
მალხაზ სხირტლაძე	ეკატერინე მოსულიშვილი